# ჟიული შარტავა





პატივცემულო ..............................................................

2014 წლის 7 მარტს 16 საათზე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ტარდება საქართველოს ეროვნული გმირის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის (1993წ) ჟიული შარტავას დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა და მისივე სახელობის ახალგაზრდა პოლიტიკოსთა სკოლის პრეზენტაცია.

გთხოვთ გვეწვიოთ.

მისამართი - თბილისი, კოსტავას 77,
სტუ-ს ადმინისტრაციული შენობა, მე-3
სართული, დიდი სააქტო დარბაზი.



„მე ვდგავარ ერთ პოზიციაზე -
მოვიცადო რაიმე
კონკრეტული სარგებლობა
ერისათვის,
ვერავითარ გარიგებაზე
ვერ წავალ,
სინდისთან პირველ რიგში".



„ერთ-ერთ უპირველეს
ბერკეტად მესახება
თანამშრომლობა ყველასთან,
განურჩევლად პარტიულობისა და
მსოფლმხედველობისა, რელიგიური
მრწამსისა, ეროვნებისა, სქესისა,
ასაკისა, პროფესიისა, სოციალური
მდგომარეობისა, ჩემდამი სიმპათიებისა
და ანტიპათიებისა".



„დასაფასებელია ყველა,
ვინც ნებისმიერ პერიოდში,
განსაკუთრებით
რთულ პერიოდებში,
აკეთებდა ერისათვის,
ხალხისათვის
საჭირო საქმეს".



„ვინც მიცნობს მე და
იცნობს ჩემს ოჯახს,
მათ კარგად იციან,
თუ როგორ ვიყავი „გაფაცებული"
პრივილეგიებით,
როგორ „ვანებივრებდი"
ოჯახს.
თუმცა ამის მტკიცება
უხერხულიცაა".



„სახელმწიფო,
მით უმეტეს საქართველო,
დიდი და რთული ორგანიზმია,
მრავალფეროვანი და
მრავალწახნაგა
გრანდიოზული ოჯახია".



„თუ სიცოცხლის გაღება
იქნება საჭირო, მე უყოყმანოდ
გავაკეთებ ამას ერისათვის
და ოჯახისათვის.
მერწმუნეთ, ეს ხმამაღლობისთვის
და პათოსისთვის
არ არის ნათქვამი".



„ჩემი სოხუმში
წაუსვლელობა
არ შეიძლება,
სჯობს ამ ომს
ჩვენ შევეწიროთ და
ჩვენი შვილების თაობა
გადავარჩინოთ.
ჩვენი თაობა ისედაც ვალშია
მათ წინაშე".

ჟ. შარტავა



„გინდათ
თქვენ საქართველოს
კეთილდღეობა?
მე მინდა,
ძალიან მინდა!
არავითარ პრივილეგიებს
არ მივსტირი და არ ვებღაუჭები".



„ხალხი ბრძენია და
ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს.
არა აქვს მნიშვნელობა -
ჩვენ მოვესწრებით
თუ არ მოვესწრებით ამას.
მე მხოლოდ ერთი დღის
შეფასებისთვის არ მიცხოვრია
და არც ვცხოვრობ".



სიბინძურეს პოლიტიკაშიც
აქვს საზღვარი.
შენს ეგოისტურ ზრახვებს
არა და არ უნდა შეეწიროს
სხვების ინტერესები,
მით უფრო,
მაღალი მატერიების სპეკულაციით.



„მე მხოლოდ
დამოუკიდებელი საქართველოს
მომხრე ვარ, და ისეთი
დამოუკიდებელი საქართველოს
მომხრე ვარ, სადაც
პიროვნების სრული თავისუფლება
იქნება".



„ლია, ჩემი სახელები
და სურათები დიპლომაცია,
თუ რამე მოხდა,
ლირსეულად მიცირეთ"...



არ შეიძლება
სახელმწიფოს მართვისას
ბოღმა, ეჭვიანობა,
ამბიციები, ცილისწამება,
ანგარიშსწორება,
კონფრონტაცია,
კუთხეების
ურთიერთდაპირისპირება;



თუ კი ბატონი მუხრან მაჭავარიანისათვის ლენინსა და სტალინზე, კომკავშირზე ლექსების წერა იმიტომ ყოფილა საჭირო, რომ მის პატრიოტულ, ერთგულ თემას ჰქონოდა გზა გახსნილი, რატომ უნდა ვუწოდოთ ძველ სტრუქტურებსა და სისტემებში მომუშავე ყველა წესიერ, თავდადებულ კაცს კოლაბორაციონისტი ან კონფორმისტი; რატომ არ უნდა გავუგოთ მათ, ვინც რწმენით საქმიანობდა.



„რაცა ვარ, ესა ვარ:
დადებითით და უარყოფითით,
ცოდვებით და უცოდველობით.
მე ვდგევარ ერთ პოზიციაზე - რაიმე
კონკრეტული სარგებლობა მოვუტანო
ჩემს ერს..."



შენ არ დამფრთხალხარ, ცხენისწყალზე გაზრდილო კვიცო,
მაგ ლამაზ ტანზე ერთგულება გედგა თორივით...
ბევრმა ვერ გიცნო... შენმა ერმა კი გმირად გიცნო,
„ტროის ცხენისაგან" დაკბენილი და დატორილი...

შოთა ნიშნიანიძე

# ჟიული შარტავას სახელობის ახალგაზრდა პოლიტიკოსთა სკოლა

2014 წლის 7 მარტს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდებოდა გამოჩენილ ქართველ სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეს, საქართველოს ეროვნულ გმირს, წმინდა გიორგის ოქროს და ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენების კავალერს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს ყოფილ თავმჯდომარეს, გენერალ-მაიორ ჟიული შარტავას.

ჟიული შარტავა პოლიტიკურ საქმიანობაში მეცნიერებიდან მივიდა. იგი იყო სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის ასპირანტი, მოგვიანებით დაიცვა დისერტაცია მართვის ეფექტიანობის საკითხებზე. ის ყოველთვის იღწვოდა სახელმწიფო - პოლიტიკურ საქმიანობაში მეცნიერების, ყოველივე ინოვაციურის მხარდა-საჭერად. მისი ინიციატივით შეიქმნა ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი; დაიწყო მოამვლის ქალაქის - „მზიურის“ მშენებლობა; შავნაბადაზე დაფუძნდა ახალგაზრდა პოლიტიკოსთა სასწავლებელი, შესაბამისი სამეცნიერო და კულტურული ინფრასტრუქტურით, რომლის მსგავსი, მაშინ, მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეში არ მოიძებნებოდა; მისი ავტორობით, პირველად საქართველოში,

სახელმწიფო - მართველობით საქმიანობაში ფართოდ დაინერგა ე.წ. „სისტემური ანალიზის მეთოდი“, რომელმაც, დიდი აღიარება მოიპოვა, როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ და მრავალი სხვ.

მეცნიერებისა და სახელმწიფოს მართვის ურთიერთსასარგებლო კავშირების განმტკიცება, მმართველობით საქმიანობაში მეცნიერ - ანალიტიკოსთა ფართო წრის ჩაბმა, ახალგაზრდა კადრების ღირსეულ მამულიშვილებად და სახელმწიფო მოღვაწეებად აღზრდა – ეს ჟიულის ცხოვრების კრედო იყო, და, ამდენად, ღრმად სიმბოლური და მრავლისმეტყველია, რომ პოლიტიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს როინ მეტრეველის და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს არჩილ ფრანგიშვილის ერთობლივი ძალისხმევით დაფუძნდა ჟიული შარტავას სახელობის ახალგაზრდა პოლიტიკოსთა სკოლა, მისი დაბადებიდან 70-ე წლისთავზე.

სკოლის საქმიანობაში უკვე აქტიურად ჩაებნენ აფხაზეთის ავტონმიური რესპუბლიკის მთავრობა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სხვა სახელმწიფო, საზოგადოებრივ -პოლიტიკური, საულიერო ორგანიზაციები და სამეცნიერო - საგანმანათლებლო დაწესებულებები.

ჟიული შარტავას სახელობის ახალგაზრდა პოლიტიკოსთა სკოლის მიზნები და ამოცანებია: ხელი შეუწყოს ახალგაზრდებში მაღალი

პოლიტიკური კულტურის დამკვიდრებას; ცოდნაზე დამყარებული საზოგადოების ჩამოყალიბებას; ახალგაზრდების როლისა და ჩართულობის გაზრდას ქვეყანის წინაშე მდგარი სოციალურ - ეკონომიკური და პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტაში; განუვითაროს დაინტერესებულ ახალგაზრდებს მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებში წვდომის და მეცნიერულად განზოგადების უნარები; ხელი შეუწყოს ახალგაზრდების აკადემიური აქტივობის და სამოქალაქო თვითშეგნების გაზრდას თეორიული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზების გზით.

დასახული მიზნების და ამოცანების უზრუნველსაყოფად სკოლა:

აყალიბებს სასწავლო ჯგუფებს საზოგადოებრივ - პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად მონაწილე მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე ახალგაზრდებისგან (ძირითადად, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტური თვითმართველობის, პოლიტიკური პარტიების და ახალგაზრდული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ლიდერთაგან);

უზრუნველყოფს სკოლის სტუდენტებისთვის პოლიტიკური ცოდნის და სახელმწიფოებრივი გამოცდილების გაზიარებას სასწავლო პროცესში იმ სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეების ჩართვით, რომლებიც პირადად, უშუალოდ იღებენ ქვეყნის წინაშე მდგარ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს;

სტუდენტთათვის ქვეყანაში არსებული ვითარების მეცნიერული ანალიზის შედეგების გასაცნობად სკოლა სასწავლო პროცესში იწვევს საქართველოსა და უცხოეთის აკადემიური წრეების ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლებს, ცნობილ პროფესორ-მასწავლებლებს და ექსპერტებს;

ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების გასაანალიზებლად სკოლა მხარს უჭერს და ეხმარება მაგისტრანტებს და დოქტორანტებს შეარჩიონ ისეთი თემები, რომლებიც განსაკუთრებით აქტუალურია ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის; იმავდროულად, ეხმარება მათ თემის დამუშავების პროცესში შეუფერხებლად მიიღონ ყველა საჯარო ინფორმაცია და საჭირო კონსულტაციები შესაბამისი სახელისუფლო სტრუქტურებისგან;

სამინისტროებთან და უწყებებთან თანამშრომლობით ავლენს ნიჭიერ სახელმწიფო მოხელეებს ვისაც სურვილი და შესაძლებლობები აქვთ ისწავლონ დოქტორანტურაში და ახდენს ამ პროცესის ადმინისტრირებას; შემდგომში, ეხმარება მათ, რათა მიღებული მეცნიერული კვლევის შედეგები (კონკრეტული რეკომენდაციების სახით), აქტიურად დანერგონ მმართველობით საქმიანობაში;

აწყობს სტუდენტთა სტაჟირებებს შესაბამისი პროფილის სამინისტროებსა და უწყებებში; რეკომენდაციას აძლევს მაღალი აკადემიური მოსწრებით და საზოგადოებრივი აქტიურობით

გამორჩეულ სტუდენტებს და მაგისტრანტებს სახელისუფლო სტრუქტურებში საკადრო რეზერვში ჩასარიცხად;

შეისწავლის საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის პროცესების, საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული მომზადების და კვალიფიკაციის არსებულ დონეს, უზრუნველყოფს საჯარო მოსამსახურეთა პროფესიონალიზმის და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ორგანიზაციული და მეთოდური დახმარების გაწევას;

სახელმწიფო სტრუქტურების წინაშე მდგარი ლოკალური ამოცანების ანალიზის პროცესში პერმანენტულად რთავს სკოლის მცოდნე და დაინტერესებულ სტუდენტობას, რათა შემდგომში, საშუალება მიეცეთ მათ წარმატებით გააგრძელონ კარიერა საქართველოს საჯარო დაწესებულებებში, პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში;

სამეცნიერო ჟურნალის „ქართული პოლიტიკა“ მეშვეობით გამოსცემს სკოლის სტუდენტების, ახალგაზრდა მეცნიერების და საჯარო მოხელეების საუკეთესო მეცნიერულ ნაშრომებს და ავრცელებს როგორც საქართველოში, ისე უცხო ქვეყნებში.